

572  
1970

1970 ՀՅՅՅՅՅՅՅՆ ՈՒՅՆ 12

ԲՈՒՄ



გიორგი ნარბუღი

- დღეს ახალი წელია.
- ვინ გოტბრა?
- მოსაწვევში წერია,
- ვინ გიწვევს?
- მეღია!





ნოღარ კაკალიძე ნახატები ზურაბ კახანიძისა

გიორგი პაპას ისეთი ხეხილის ბაღი აქვს, ავ თვალს არ ვნახვება. ვის არ ჩაუკოკლოზინებია ყელი მისი გემრიელ-გემრიელი მსხლითა და ვაშლით, ატმითა და ქლიავით. ღობის გასწვრივ ხუთი ცამდე აწვდილი ნაძვის ხეც უდგას.

წელს არნახული ზამთარი დადგა. დიდი თოვლი დადო. სოფლის გოგო-ბიჭები დიდიდან საღამომდე დასრიალებენ და გუნდაობენ.

ზურასა და გელასაც ახალთახალი ციგები დაუთრფევით და საციგაოსაცენ მიაბზენინებენ. ბიჭები გიორგი პაპას ბაღის ბოლოს რომ გაუსწორდნენ, შეჩერდნენ, ბაღში გიორგი პაპა ხეებიდან თოვლს ბერტყავდა, ისე ამობუმბლულყო თოვლში, ვეღარც იცნობდით:

— გიორგი, პაპა, ეგ რა მოგსვლიათ! — ღობეს მოადგნენ ცნობისმოყვარე ბიჭები, მოეწონათ კიდევ ეს საქმიანობა.

გიორგი პაპამ ხალხა თოვლში ჩაარქო, ქული მოიხადა და დაფერთხა, მერე ქულითვე ჩამოიბერტყა მზრებიდან და ტანსაცმლიდან თოვლი.

— ეე, რა მომსვლია და... აბა, გადმოდით, ნაძვები დაბერტყეთ, სულ აღმადამა რომ დარბიხართ.

ბიჭებსაც ეს უნდოდათ. მაღე სულ მთლად თოვლში ამოგანგლულები გამოძერნენ ნაძვებიდან. ჯოხები გიორგი პაპასავით ჩაარქვეს თოვლში, ქუდები მოიხადეს და ტანსაცმლიდან თოვლის ჩამოიბერტყეს შეუდგნენ.

— უჰ, დავიდალეთ! — თქვა ზურამ, — სულს ვეღარ ვითქვამ...

გიორგი პაპამ ჩიბუხი ხელის გულზე დაიფერთხა და გულის ჯიბეში ჩაიღო.

— დაუღლედად არაფერს არა აქვს, შეიღებო, გემო! წითელ-წითელი ვაშლები რომ გიყვართ, ცოტა ოფლიც უნდა გამოიღინოთ.

— გიორგი პაპა, როდის იყო ნაძვი ვაშლს ისხამდა! — გაიცინა გელამ...

გიორგი პაპა მოიღრუშა. გულის ჯიბი-



11316



დან ხელახლა ამოიღო ჩიბუხი, დინჯად  
 ტენიდა... მერე მოუკიდა და რამდენჯერ-  
 მე ისევ ხმაამოუღებლად მოქაჩა.

— ეგ, ნაძვები, შვილო, ჩემი ვაჟიშვი-  
 ლები არიან!—კარგა ხნის დუმილის მე-  
 რე თქვა გიორგი პაპამ.—ხუთი ვაჟი მყავ-  
 და, ხუთივენი ომში წავიდნენ და აღარ  
 დაბრუნებულან.. ეს ნაძვები მათი დარ-  
 გულია.

გიორგი პაპას მეტი აღარაფერი უთ-  
 ქვამს, გარინდებული იდგა, ჩიბუხს აბო-  
 ლებდა და ახალდაბერტყილ ნაძვებს

თვალმოკუტული გაჰყურებდა. ბიჭები  
 ხმაამოუღებლად გადმოვიდნენ ღობეზე...

...ახალი წლის წინა საღამოს მთელი  
 სოფლის გოგო-ბიჭებმა გიორგი პაპას  
 ბალთან მოიყარეს თავი. ნაძვები ფერად-  
 ფერადი ნათურებით ააბღღვრიალეს და  
 ბრტყვიალა სათამაშოებით მორთეს. შე-  
 ბინდებისას გიორგი პაპაც გამოჩნდა, სა-  
 ხეგაბადრული მოდიოდა.

— გაიზარდეთ, შვილებო, კი ხალხი  
 გაიზარდეთ!—ახლა კი შინ წავიდეთ და  
 ერთად შევხვდეთ ახალ წელს!

# მამუკა და გია



მეორე მხარე

ნახარი ზარბ მამუკისთვის

პირველი სურათი

## მონიშნები: მამუკა და გია.

ზამთარი. ეზოში მამუკა თოვლის გუნდებს აკეთებს და თან ითვლის... შემოდის გია.

**გია** — ყოჩაღ, მამუკა... კარგია თავის შექცევა ამგვარი...  
 თან თოვლის გუნდებს აკეთებ,  
 თან თვლას სწავლობ და ანგარიშს?  
 შენც რეისა ხარ და მეც—რეისა,  
 მოდი და შეგეჯიბრები,  
 თუ გამოიცინებ ჩემს ნათქვამს,—  
 ყოჩაღი ბიჭი იქნები:  
 მცხეთას ვიყავი გუშინწინ,  
 გადმოვიარე გრაკალი,  
 სამ ბიჭს გაუყავ თანაბრად  
 თორმეტი ცალი კაკალი.

**მამუკა** — თითოს ოთხ-ოთხი შეხვედბა  
 ვერ გამოიცინობს მამუკა?!  
 თქვი: რამდენი ხე იქნება  
 სამი თელა და ცხრა მუხა?!  
**გია** — თორმეტი გახლავს, გეთაყვა,  
 აჰა, ხომ გითხარ მართალი,  
 ამაში, ჩემო ძამიკო,  
 არავინა მყავს ბადალი!

**მამუკა** — ექვსი იხვი მოიპარა  
 საქათმიდან მელამ,  
 სოროსაკენ წამოლალა  
 დაუთვლელად ყველა,  
 სამი იხვი მოიტაცა  
 უცებ სამმა ძერამ,  
 თქვი: რამდენი დარჩებოდა  
 ქურდაცაცა მელას?!  
 მიბასუხებ?

**გია** — ვერა!  
**მამუკა** — კაკალს არჩევს ორი ციყვი,  
 სამი—მზეზე სოკოს ახმოზს,  
 სულ რამდენი ციყვუნაა  
 ფულუროსთან ახლომახლო?!

**გია** — . . . ???!  
**მამუკა** — არ მჭირდება წუთი,  
 რამდენია? ხუთი!

ორი გოლი გაიტანა  
 გელას კარში დაჩიმ,  
 ორჯერ მეტი გაუტანეს  
 მას საკუთარ კარში...  
 ანგარიში?!

**გია** — ???!  
**მამუკა** — ოთხით ორი  
 წაუგია დაჩიმ!  
 ახლა წავალ საციკაოდ  
 დაუძახებ არჩილს,  
 ორჯერ-ორი რომ ისწავლო  
 შემეჯიბრე მაშინ! (მიდის)

ჟ ა რ ე ა



# როგორ მოიტანა მინდია თოვლი

საქართველო  
შენაწიერთვე

სოლომონ დავახანაშვილი

ნახატი ზნაპა მამარიაშვილისა

მინდიას მამა ტყისმცველია. საღამოთი დაღლილ-დაქანტული დაბრუნდება ზომე ტყიდან და ათას საოცრებას ჰყვება: მავანმა და მავანმა შვილის ნუკრი დაიჭირა და გავაშვებინეო, ზედ გზის პირას ვილაყა ოხერის მუხა წაუქცევიაო, ქარიშხალს წივლის ხე მოუგდევიაო.

ერთი სული აქვს მინდიას, როდის წაიყვანენ ტყეში, როდის ნახავს თავის თვალთ იქაურობას. რახანია ეხვეწება მამას, მაგრამ მამა სულ ერთსა და იგივეს პასუხობს: ჯერ პატარა ხარ, ვერ ივლიო. აი, დღეს კი მამამ მინდიას დედას უთხრა, ხვალ მე და მინდია ტყეში წავაღო, მივივლ-მოვივლით, მტერ-მოყვარეს დავუნაზღვებთო. მინდიას სიხარულს საზღვარი არა აქვს. ადბათ უკვე დიდი ბიჭია,—მამას ტყეში მიჰყავს! დი-

და, მამ რა არის, ამ შემოდგომას შვილისა გახდა.

საღამოთი, ვითომც აქ არაფერიცაო, მინდიამ პაღტოს ჯიბეებში ჩაიწყო ხელები, ქული შუბლზე ჩამოიფხატა და სოფელ-ქვეყანაზე გამოვიდა; წყაროზე თავშეყრილ ხალხში გაერია.

— მინდიას გაუმარჯოს! — ესაღმებთან მგზობ-ღები.

— იცოცხლეთ და გაგიმარჯოს! — დიდი კაცი-ვით პასუხობს მინდია.

— მინდია; მართლა ტყეში მიდინხარ?

— მართლა, აბა ტყუილია!

— ამ შუა ზამთარში იქ რა გინდა, კაცო! თანაც, ზეგ ახალი წელია.

— როგორ თუ რა მინდა, — მწყრალად პასუხობს მინდია, — ქვეყანაზე რამდენი გულქვა და



უდიერი კაცია, შიგა ტყეში და იქაუნობას გაა-  
ჩანაგებს. ავად, მივიღ-მოვიღით, მტერ-მოყ-  
ვარეს დავენახებით...

— ჰოო, აი, თურმე რა ყოფილა! ეგრე გვი-  
თხარი, რალას გვიწყებო, კაცო!—ილიმებიან  
მებობლები. მინდია კი აინუნშიაც არ აგდებს  
იმათ ლომილა და გაკვირვებას. პადტოს საყე-  
ლოს იწევს და შინისაკენ მიდის.

— შოილა, კაცო, გვითხარი რამე!—სთხოვენ  
მეზობლები.

— ხვად ადრე უნდა ავდგე!—ცივად პასუხობს  
მინდია.

— ბიჭო, მინდია, ერთი მუტა თოვლი მაინც  
წამოგვილე ტყიდან, თოვლის ნატრულები ვართ.  
თვალთ მაინც დავინახოთ...

— წამოგვიღებთ, კი წამოგვიღებთ!—ჰპირდება  
მინდია, მაგრამ აბა თოვლი როგორ უნდა წამოუ-  
ღოს, შუა გზამდე დაუდნება.

მეორე დღეს დილაადრიან დაადგნენ ტყის გზას  
მინდია და მამამისი.

კარგა გათენებული იყო, ტყეში რომ შევი-

დნენ. ათასში ერთხელ გამოიქოტებდა ხოლმე  
ლრულებიდან ზამთრის ცივი, უმწეო მზე.

მთელი ტყე გასუფრულიყო. მოწყენით იდგნენ  
ფოთლებგამარტული წივლისა თუ რცხილის ვეება  
ხეები. სადღაც შაშვმა დაიჭახჭახა და ვკლიან  
ბარდებში შეძვრა. ჩხიკვმა დაირხავდა. მინდიას  
მამა ხანდახან შეჩერებოდა, ტყეს მიაყურებდა,—  
აბა სადმე ცულის ან ხერხის ხმა ხომ არ ისმი-  
სო. ზოგჯერ ნაფხურებსაკვირებოდა ბილიკზე,—  
ვინ აიარა ტყისაკენ, ან ვინ ჩამოიარაო.

მინდია სიარულში ისე განხურდა, სიციფეს ოდ-  
ნავადაც არა გრძნობდა, პირიქით,—დასცხა.

აგერ, ისევე გაჩერდა მინდიას მამა, ზურგანთა  
შეისწორა, თოფი ერთი მხრიდან მეორემე გადაი-  
ტანა და ტყეს მიაყურა.

— მინდია, ეუბნება მამა,—აბა, დაყურე,  
რამე ხმაური თუ გესმის?

მინდიამ დააყურა, მაგრამ არც ცულის ხმა  
ისმოდა, არც—ხერხისა. მარტო კვალა უკაკუ-  
ნებდა სადღაც ხეს, რომ ფულურში ჩამადული  
მატრი ამოყვანა.



— არაფერი გესმის, მინდია? აბა, კარგად მოუსმინე, ტყე როგორ გუგუნებს!

მინდია კიდე დააყურა და ახლა ცხადად გაიგონა, სადღაც შორს ტყე როგორ ბუბუნებდა.

— ეს იმის ნიშანია, რომ ქარი ამოვარდება, — ეუბნება მამა, — ქოხში უნდა წავიდეთ, თუ დიდი ქარი ამოვარდა, ამაღამ იქ დავჩნებით.

მინდიას ცოტა არ იყოს ფერი ეცვალა, მაგრამ გაასხენდა, რომ უკვე დიდი ბიჭი იყო.

შუადღე გახლდათ, ქოხს რომ მიაღწიეს. ქოხის წინ ცეცხლის ნანთები ჩანდა. მინდიას მამამ თოფი და ზურგჩანთა მოიხსნა: აბა, მინდია, შენც მომეხმარეო, თორემ უქანასა და ცუდა კაცს სიცივე ადვილად ერევიაო. დატრიალდნენ, იქვე ახორბლიდი ნაყარი შეშა მოზიდეს და ისეთი ცეცხლი ააგურგურეს, სურ ცას სწვდებოდა. მერე მოუსხდნენ ცეცხლს და გემრიელად ისადიდეს. ის ხმაური კი წყლან ტყეში რომ ისმოდა, თანდათან გაძვირდა და მოახლოვდა. შიშვედმა ხის ტოტებმა რხევა დაიწყეს, ცეცხლის აღმაც დაიწყია კლაკვნა და მალე ისეთი ქარი ადგა, იმისმა ხმამ ტყე სურ გააყრუა. მამამ ქოხში ხის ტახტზე გაუშალა მინდიას ნაბადი, შიგ შეახვია და თვითონ ცეცხლს შეუკეტა.

— თუ ამაღამ ეს ქარი ჩადგა, თოფი მოვა, მინდია, ეს ტრალი ქარი თოვლს ებრძვის. ეჰ, სად ვათენებთ ახალი წლის ღამეს, მინდია, გესმის?

მაგრამ მინდიას უკვე ეძინა, გემოზე ხერინავ-

და და არაფერიც არ ესმოდა. არ გაუგონია მის, სადღაც შორს როგორ ყმულდნენ მშვიერი მგლები, როგორ კიოდნენ ტურები და ერთმანეთს როგორ ეძახდნენ ოღოლები. არ გაუგია მინდიას, როგორ ჩაგდა ქარი და როგორ დაიწყია ბარნა.

გაუღვიძა დილით და რას ხედავს, არემარე გადათეთრებულია. ხის ტოტები თოვლის სიმძიმისაგან დახნექიანს. მთელი ტყე გააყრუებულა, ჩაწყნარებულია და თეთრად მორთულია.

— დილა მშვიდობისა, მინდია! — იცინის მამა, — მომიღოცავს ახალი წელი, აბა, ნახე, რა ამბავია, ნამგვილი ზამთარია. ადგ, ვიგუნდაოთ, თუ ბიჭი ხარ.

გახანებული წამოხტა მინდია: — ვაშა, თოფი მოსულაო, — და გავარდა თოვლზე.

მინდიას მებობლები კი ერთ ამბავში იყვნენ. ყველას გაეგო, რომ მამა და შვილი ტყიდან ჯერაც არ დაბრუნებულიყვნენ და სურ გზისაკენ ეპირათ თვადი.

და აგერ, როცა დაინახეს ტყიდან მომავალი მინდია და მამამისი, სიხარულით ცა გაეხსნათ.

— მინდიამ თოფი მოგვიტანა, ხაღბო!

— აკი შეგვიპირდა გუშინ, თოვლს მოგვიტანთო.

— ყოჩაღ მინდია, კარგი ფერი გქონია, წამოდი ჩვენსა!

ყველა ენატოვებდა მინდიას, ყველას უნდა თავისთან წაიყვანათ, საახალწლო ტკბილეულით გაუმასპინძლეს. შიშის მინდია და ტოვებს პატარა ნაფხებურებს თეთრ, ფაფუკ თოვლზე.





# შიო პაპა

მეგობარი



გიორგი პაპაშვილი

## პეპერა

წინ შიო პაპა მიდიოდა, უკან ბალები მიჰყვებოდნენ. თოვლი ღრმა იყო და მუხლამდე ფეხლობოდნენ.

— ჩემს ნაკალევეზე იარეთ, შვილო. თოვლი არ ჩაცვივდეთ.

— გამარჯობა, შიო პაპავ!—ბექობიდან გადმოსძახა ვიღაც თოფიანმა კაცმა.

— გაგიმარჯოს!

— საითკენ გაგიწევიათ?

— აი, ვენახებში მიმყავს ბალები.

— შვილიშვილები არიან?

— არა, ჩემი შვილიშვილები უკვე კაცები არიან.

— მაშ, შვილთაშვილები იქნებიან.

— შვილთაშვილი ხომ იგივე შვილიშვილია. შვილთაშვილები კი არა, შვილთა შვილიშვილები უნდა გეთქვა.

— მართალი ხარ, შიო პაპავ, მართალი. შენი ხნის კაცსა სიზმარი დაეჯერება.

— შენ ბააღურის შვილიშვილი ხარ, არა?

— შვილიშვილი კი არა, შვილთა შვილიშვილი ვარ.

— კაი დაგემართოს შვილო, პეპერაც კარგი გაყვდა და შენც კარგი ვაჟკაცი ჩანხარ.

— პეპერა რა არის, პაპავ?—ჰკითხა მერაბმა.

— პეპერა პაპის მამია, შვილო. მე თქვენნი პეპერა ვარ. რა ფუყით რომ პაპას მეძახით.





Александр  
Борисов

Александр  
Борисов



## ნანინა

თამარ ჯაფარიძის

მოდის, მოდის ძილი,  
ფეხები აქვს რბილი,  
ხელები აქვს თბილი,  
სიზმრები აქვს ტკბილი.

დაიძინებს მალე  
პაწაწინა შვილი,  
მიუბარა თვალებს  
ფრთაზღაპარა ძილი.

## თაგუნა

ირაკლი გომოლაძის

საწუწკარზე წავიდა  
თაგუნია თაგუნა,—  
შეიპარა ბელელში,  
განა დააკაკუნა!  
კატუნია კუთხეში  
თავი გააკანტურა:  
პირი გააცმაცუნა,  
კბილი გააკრაჭუნა...





# კურდღელი და ზღარბი

• • • • •

ხის ძირას, სოროსთან, ზღარბმა კურდღელი დაინახა:

- ყურცქვიტას გაუმარჯოსო!
- გაგიმარჯოსო!
- უპ, როგორ ბარდნის, ცოტა ხანს შემოფარე, თოვა შეწყება და ჩემს გზაზე წავადო.

— დიდი სიამოვნებით, მობრძანდიო,— მიუგო კურდღელმა და სოროში შეუძღვა.

კომმოსტო, სტაფიღო, რა არ მიართვა კეთილმა კურდღელმა

ზღარბს, მოისვა გვერდით და სულ ჰარი-ჰარაღო აძახა.

— ცოტა ჩაიწი, თორემ შენმა ეკლებმა დამჩხვლიტაო,— მოკრძალებით უთხრა მასპინძელმა სტუმარს.

— რაო?! მე აქ მშვენივრად ვგრძნობ თავს, შენ თუ აქაურობა არ მოგწონს, ადექი და მიბრძანდიო!— წაიბურტყუნა ზღარბმა და ფაფუკ სავარძელში არხეინად მოიკადათა.



## თოვლის სათამაშოები

ბავშვები ეზოში გამოფენილიყვნენ...

ნიკა თოვლის პაპას ღვამდა...

— მე ბურღულენა დათუნისა გავაკეთებ.—  
უთხრა გიგამი.

— მე ჟირაფი უნდა გავაკეთო! ზოოპარკში  
ყველაზე ძალიან ჟირაფი მომეწონა. რამსი-  
გრძე კისერი ჰქონდა!

— მე მგელი უნდა გავაკეთო და არავინ  
გაბედლოს მგლის გაკეთება! —დამუქრებით თქვა  
მერაბმა...

— ნათია, შენ რაღას აკეთებ? —ჰკითხეს  
ბავშვებმა ყველაზე პატარა ნათიას. გოგონა  
თოვლში ჩატუტულიყო და პატარა ნიჩბით  
თოვლს უხმოდ აგროვებდა.



— მე კურღლევი მინდა! —თქვა გაუბედა-  
ვად.

ყველაზე ადრე ნიკამ დაამთავრა თავისი  
თოვლის პაპა.

თაზენ ვედრო ჩამოამხო, ხელში ცოცხი  
დააჭერინა. გიგამ ისეთი დათუნია გავაკეთა,  
აუ თვალს არ ენახებოდა. ნინომ ბევრი იწვა-  
ლა და სანამ ჟირაფს კისერში ჯოხი არ ჩაა-  
ტანა, არაფერი არ გამოუვიდა. მერაბის მგელს  
ისე დაელო პირი, მართლა მგელი გგო-  
ნებოდათ. პატარა ნათია კი აჯუნდავებდა და  
აჯუნდავებდა თოვლს და ვერა და ვერ გაე-  
კეთებინა კურღლევი.

— ნამდვილი ზოოპარკია! —წამოიძახა გი-  
გამი. —მოდით, ახლა სხვა რამეები გავაკეთოთ!



— მე ბუხრიან სახლს გავაკეთებ!  
 — მე კოსმოსურ ხომალდს!  
 — მე კოსმონავტს!  
 — მე შენისთანა გოგონას,—უთხრა მერაბ-  
 მა ნინოს.

— მე კურდღელი უნდა გავაკეთო,—ამოი-  
 ლულულულა ნათიამ.

ისევ გაჩაღდა მუშაობა. გიგამ თოვლის სახლი წამოჭიმა, ნიკამ კოსმოსური ხომალდი გააკეთა. მერაბმა ისეთი ნაწნავეებიანი გოგონა დადგა, ყველამ ერთხმად ნინო დაუძახა. ნათია კი ისევ თავის კურდღელს აკეთებდა და აკეთებდა, ვერა და ვერ გაფეკეთებინა.

თოვლის სათამაშოების კეთება მალე მო-



სწყინდათ.

— ვინ მოდის საციგაოდ?—იკითხა ნიკამ.

— მე! მე! მე!—იყვირა ყველამ... მარტო ნათია არ იღებდა ხმას.

— ნათია, შენც წამოდი, მერე ჩვენც მოგვხმარებით, ერთად გავაკეთოთ შენი ბაჭია.—უთხრეს ბავშვებმა.

— არა, მე უნდა დავრჩე!—გაჯიუტდა გოგონა.

ბავშვებმა აღმართი აიარეს და თვალს მოეფარნენ. რომ დაბრუნდნენ, ნათია აღარსად ჩანდა,—მერაბის მგლის გვერდით კი ნათიას ქათქათა თეთრი ბაჭია წამოსკუბებულოცო.

გადმოაქართულა **ლექსი პარკში**

ნახატები **ზნაპო შორაჩიძისა**

11.3/16



# პილი ნებისა

პილი ნების!  
პილი ნების!  
ჩურჩულებენ  
ზიზილები.  
ნისლი ადის  
მინდვრებიდან,  
ჩიტუნები  
ჟიჟივებენ.  
დაისუჭნენ  
გვირილები.  
პილი ნების,  
პილი ნების!

# ეიფელის კოშკი

კოშკსა ჰქვია ეიფელ,  
თითქოს შისიკენ შეიფრენ,  
სამს მეტრზე ასვალ,  
ნამდვილად დირს ნახვად!  
გადაჰეურებ სენას,  
ვერ ბეიწერს ენა!  
აიქროლებ წამსვე,  
წვერი უდგას ცაბდე!  
ოდონდ, ასვლის ქირას  
გადაიხდი...  
— რამდენს?!

# სამი ბაჭია

მთვარეზე ვნახე  
სამი ბაჭია,  
სამივეს ქურქი  
აუჯახაია.  
სამივე ერთად  
ცეცხლთან მიმჯდარი,  
შირში ჩიბუსი,  
სელში ფინჯანი.

გაღმთაქართულა  
მეცხალა მრავლიშვილმა

ნახატი ზურაბ  
ფორჩხიძისა



# სეზუსი



შეადგინა თბილისის 77-ე სკოლის მოსწავლემ  
გიორგი თოთაძემ.



## ენის გასაგები

მალა გლიაძე

ფეფომ ფისოს ფაფუკ ქურქზე  
თოვლის ფიფქი შეაფრქვია.  
არ ეამა ფისოს ფიფქი  
და შეჭკნავლა: «მიაგ-მიაგ!»



მე სულამ არ  
მეშინია ლოშის!

მე სულამ არ  
მეშინია აუთარის!

მე სულამ არ  
მეშინია მგლის!

მე სულამ არ  
მეშინია ვეზვის!

მგლიძენ ბიჭები სკოლიდან და გაეჩუპებოდნენ. უხვად სერილანდს შინა გაეჩუპა!



მიხვალათ!!!

ყველა მოქარხნა... სიყმა ჩანთას ქი მიამოვა... აბა, მამოიხანით: როგორია ზამთრ სკოლა სიყმა?







# ილი

ალექსი ხაშიშვილი

— რად არ მიშვებთ წისქვილში? —  
 ილი ცხარედ ტიროდა, —  
 ათ კილოს ვერ წავიღებ?  
 ოცდაორი კილო ვარ!




მონახა



მარი



მართლიანი



კაბა

## ამოსანა

ზარაბ თოლაძე

ხადამო ხანს ერთ გუბეში  
 ჩაჯდა დიდი უანსა,  
 ცხრა ბუჯეი ვეფინებდა,  
 უანსა იქვე დარჩა.


უღანა, უღანა, უღანა, უღანა,  
 თვალა, თვალა, თვალა,  
 ექუსი ცალი გადგულანა,  
 სსყა კი დაიძალა.

უცბად რაღაც სმა მოესმა  
 და გაურინდა უანსა:  
 აბა, მითხარ: იქ, ბუჯეი,  
 სულ რამდენი დარჩა?!

## გამოსანა


ნუნა ლალიძე

ზამთარს არ უშინდება,  
 ქარს ვერ გაუძარცვია,  
 ტანწერწეტას, ყოველთვის  
 მწვანე კაბა აცვია.








ჩვენნი სკატომ გეგობარი



წელს ჩვენი ჟურნალის მეოთხე წომერში, მთარგმნელის გვარის მთაწერულბა, დაიბეჭდა ცნობილი რუსული ხალხური ზღაპარი „გლეხი, დათვი და მელა“.

— ვის ეკუთვნის ამ ზღაპრის თარგმანიო! — გვეკითხებიან ჰატარები. ბეჭეუბებო, მისი მთარგმნელი განხლავთ გამომცემილი ქართველი მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე!



შავარი ბეჭეტი. გეგობარნი გეგობარნი



გამომცემლობა  
Издательство  
ЦКК Грузии

საბჭოთა ქვეყნების კავშირის მინისტროს, ლიტერატურის, უცხოელთა ურთიერთობების, მხატვრობის, მკვლევარების, რედაქციების (1/2 ზღაპარი), ზღაპრის მხატვრობის (1/2 ზღაპარი), მხატვრობის (1/2 ზღაპარი) და ვ. მ. ლენინის სახელობის შორეული კავშირების ორგანიზაციის რედაქციისთვის სპეციალურად. უცხოელთა მხატვრობის მხატვრობის გამომცემლობა. გამომცემლობა 19-ე წელი. გამომცემლობა მ. რაიკინის სახელობის რედაქციის გამომცემლობის, სკანდინავიის-თურქული კავშირები, 14. გულ. მ. რაიკინის სახელობის გამომცემლობა. 23-41, 20, 23-28-15, 1/2 ზღაპარი — 23-41-22, 22-28-17; ხან. რედაქციის — 23-28-18; ვაჭრები — 23-28-19; ანტიკვების — 23-28-16, 23-28-17, 23-28-18, 23-28-19. ტელეფონები: 23/1X-70 წ. სტამბოლისთვის დასაბეჭადი 30X-70 წ. ზოლიანი ზომა 30X100, 23-28-16, 23-28-17, 23-28-18, 23-28-19. 1961. „ლიტა“ № 1. na გრუნიცის რაიკის ცხო 20 კაბ.

6326



76055

ზ ა მ თ ა რ ი

ნახატი ნათელა კომლაძისა, 6 წ. გორი.  
ნახატი გია ჩოინიშვილისა, 9 წ. დუშეთი.  
ნახატი თამარ ჭელიძისა, 7 წ. რუსთავი.  
ნახატი ქეთევან ლავთაძისა, 6 წ. თბილისი.

„ძველი ციხე“, ნახატი მერაბ ჩაგუნავასი, თბილისი.  
„ხუმარა“, ნახატი ნინო მჭარეულაშვილისა, 6 წ. თბილისი.